საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მარია პერინი

მარია პერინი (1873–1939), თბილისში მოღვაწე იტალიელი ბალერინა. დაიბადა ქ. ტურინში. იქვე დაამთავრა საბალეტო სკოლა. იყო ტურინის სამეფო ოპერის თეატრის პრიმა-ბალერინა (1888-1897). 1891-1897 წლებში წარმატებით გამოდიოდა თბილისის ოპერის თეატრის (მაშინდელი სახაზინო თეატრი) სცენაზე როგორც გასტროლიორი. 1897 წლიდან დამკვიდრდა თბილისში. 1907 წლამდე იყო ამ თეატრის წამყვანი ბალერინა. მ. პერინის სახელთან არის დაკავშირებული ქართული საბალეტო სკოლის შექმნა. 1916 წელს გახსნა კლასიკური ცეკვების პირველი ქორეოგრაფიული სტუდია, რომელიც 1920 წელს გადაკეთდა თბილისის საოპერო თეატრის საბალეტო სკოლად. მ. პერინი 1935 წლამდე ამ სკოლის დირექტორი იყო, ხოლო 1937-მდე – წამყვანი პედაგოგი; 1935-38 წლებში აგრეთვე ხელმძღვანელობდა თბილისის საოპერო თეატრის ქორეოგრაფიული სტუდიის ფილიალსაც.

მ. პერინის დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველ პროფესიონალ მოცეკვავეთა აღზრდაში. მისი აღზრდილია ბალეტის მსახიობთა პირველი თაობა: თამარ და ვახტანგ ჭაბუკიანები, მარია ბაუერი, ელენე ჩიკვაიძე, ნინო რამიშვილი, ირინე ალექსიძე და სხვ. 1937 წელს იგი დაესწრო მისივე აღზრდილის, ვახტანგ ჭაბუკიანის მიერ დადგმული პირველი ქართული ბალეტის – ანდრია ბალანჩივაძის „მთების გულის“ პრემიერას.

მ. პერინიმ 40 წელზე მეტი იცხოვრა საქართველოში და ამ ქვეყანას თავის მეორე სამშობლოდ თვლიდა. 1927 წელს თბილისის ქორეოგრაფიულმა საზოგადოებამ და ქართველმა ხალხმა აღნიშნეს მისი საქართველოში მოღვაწეობის 30 წლისთავი. 1938 წელს იგი იტალიაში დაბრუნდა.

მ. პერინი გარდაიცვალა საფრანგეთში, ქ. ნიცაში.